

## ახმეტელის თეატრი

თეატრი არსებობის 35 წლის მანძილზე დიდი შემოქმედებითი ნაყოფიერებით გამოირჩეოდა. ამ ბოლო წლებშიც თეატრის ცხოვრება მრავალი ღირშესანიშნავი მოვლენით აღინიშნა. თეატრის დამაარსებელი იყო რეჟისორი ლერი პაქსაშვილი, რომლის ორგანიზაციულმა უნარმა და შემოქმედებითმა ნიჭიერებამ შესაძლებელი გახადა კიდევ ერთი სახელმწიფო თეატრი შემატებოდა ქართულ თეატრს. მან შემოიკრიბა თანამოაზრე ახალგაზრდა პერსპექტიული მსახიობების ძლიერი ჯგუფი და უნიჭიერესი მხატვრის აივენგო ჭელიძის თანამშრომლობითა და თანადგომით, შემდგომი განვითარების საიმედო პერსპექტივა შესძინა ახლად ფეხადგმულ თეატრს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 15 დეკემბრის №145 განკარგულებისა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს 1979 წლის 17 მაისის კოლეგიის სხდომის №8/8 დადგენილებით, დაარსდა თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრი, რომლის დირექტორად და მთავარ რეჟისორად ლერი პაქსაშვილი დაინიშნა. ყველაფერი ახლა უნდა დაწყებულიყო. შეეკრიბა თანამოაზრე მსახიობთა დასი. თეატრის დროებით განსათავსებლად მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის კლუბის შენობა გამოიძებნა.

1981 წელის 11 ნოემბერს ვს. ვიშნევსკის „ოპტიმისტური ტრაგედიის“ დადგმით ემცნო ჩვენს საზოგადოებას თეატრის დაბადება. ამას მოჰყვა ვაჟა-ფშაველას „მთანი მალაღნი“. ამ დადგმების გმირულ-რომანტიკული სულისკვეთება გაგრძელდა ლ. პაქსაშვილის მიერ დადგმულ „რომაელებშიც“. რეპერტუარში იყო: ო. მამფორიას „იერთიმ გურჯი“, ი. ვაკელის „აპრაკუნე ჭიმჭიმელი“, ო. იოსელიაყრუ ღმერთები“, შემდგომ გ. ბათიაშვილის „1832 წელი“, ა. აბდულინის „უკანასკნელი პატრიარქი“.

1986 წლიდან ორი წარუმატებელი სეზონის მანძილზე თეატრს სათავეში ედგა რეჟისორი იური კაკულია. 1988 წ. კი სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა ალექსანდრე ქანთარია. ამ პერიოდში განხორციელდა შემდეგი სპექტაკლები: ლ. თაბუკაშვილის „ტაძარი“, ზ. სამადაშვილის „კარს იქით“, პ. კაკაბაძის „დემეტრე მეორე“, ჯ. გაროტასა და ბ. რანდორეს „ქერივთა ნუგეშისმცემელი“, ა. მილერის „ხედი ხიდიდან“, ჯ. იოსელიანის „შავი კატა“ და სხვა.

1996-98 წლებში თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია გ. ქავთარაძე, ხოლო მთავარი რეჟისორი ც. ნაკაშიძე. სცენაზე დაიდგა სპექტაკლები: გ. ბათიაშვილის „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“, თ. გოდერძიშვილის „ვირის ჩრდილი“, რ. ტომას „სასიკვდილო განაჩენი“ (რეჟ. კ. მირიანაშვილი).

1998 წლიდან თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობა ითავა დავით ანდლულაძემ, რომლის ღირშესანიშნავმა დადგმებმა სპეციალისტების საერთო ყურადღება და აღიარება დაიმსახურა და კოტე მარჯანიშვილისა და ალექსანდრე ახმეტელის საპატიო პრემიებით აღინიშნა. მისი წარმატებული დადგმებია: ა. მორჩილაძის „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“, ფ. დიურენმანტის „მეორედ მოსვლა, ანუ ვიზიტი“, ო. იოსელიანის „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“, პ. პინტერის „ლალატი“ და სხვა. თეატრის ხელმძღვანელობამ ნანა ფაჩუაშვილი მიიწვია ფ. დიურენმანტის „მოხუცი მანდილოსნის

ვიზიტში“ – კლარას როლში, რასაც ესოდენ წარმატებით გაართვა თავი პოპულარულმა მსახიობმა და ვ. ანჯაფარიძის პრემია დაიმსახურა.

თეატრის რეპერტუარს ამდიდრებდნენ მოწვეული რეჟისორები, რომელთა შორის იყო საყოველთაოდ ცნობილი შემოქმედი გიგა ლორთქიფანიძე. მის მიერ დადგმულმა „ლამანჩელმა“ ამ სცენაზეც პოვა დიდი მოწონება. მოწვეული რეჟისორებიდან არც სხვები ყოფილან დავიწყებული, საკუთარი ორიგინალური პიესის („მეფე ღირი თავშესაფარში“) ავტორობით და მისივე რეჟისორული განხორციელებით თეატრის სცენა დაეთმო ცნობილ მსახიობსა და რეჟისორს ოთარ ბაღათურიას.

2008-2009 წლის სეზონის ბოლოს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად რეჟისორი გიორგი შალუტაშვილი დაინიშნა. მან განახორციელა გურამ ქართველიშვილის ისტორიული ქრონიკა „ცერკოვნი ბუნტ – 1819“, რომელიც საქართველოს ისტორიაში რაჭა-იმერეთის აჯანყების სახელითაა ცნობილი. ამ ეროვნული სულისკვეთებით დამუხტულ სპექტაკლში ემოციურ სახეებს ქმნიდნენ აკ. ხიდაშელი (ქაიხოსრო იაშვილი), გ. ჯაფარიძე (დოსითეოს ქუთათელი) და ამ სპექტაკლში სპეციალურად მოწვეული ლ. ანთაძე (ეკეთიმე გაენათელი). მათ დამპყრობელთა სისასტიკითა და უსულგულო დამოკიდებულებით უპირისპირდებოდნენ: ნ. ყურაშვილის ერმოლოვი, ა. ალაგიძის ვასილი, მ. მაზავრიშვილის ანდრეევსკი, ბ. ქაჯაიას გორჩაკოვი და კ. გოგიძის მინასა.

2010-11 წლის სეზონში თეატრის მმართველად დაინიშნა რუსთაველის თეატრის ყოფილი მსახიობი თამაზ გოლაძე. მისი აზრით, უმჯობესი იყო სამხატვრო ხელმძღვანელის ნაცვლად, ცალკეულ დადგმებზე მოიწვიონ რეჟისორები, რადგან ისინი უფრო მრავალფეროვნად წარმოაჩენენ დასის შესაძლებლობებს. ამას, რა თქმა უნდა, დრო გვიჩვენებს, მაგრამ თეატრის არასტაბილური შემოქმედებითი დონეც იკვეთება. ამ პერიოდში დაიდგა სპექტაკლი „მოთმინება და იმედი“ (დ. კლდიაშვილის „უბედურების“ მიხედვით, რეჟ. ს. ნემსაძე), „ვაჟა“ (რეჟ. ო. ბაღათურიას), შ. შამანაძის „ღია შუშაბანდი“, ლ. ბუღაძის „პანთეონი“, „შავი კეტები“ (რეჟ. დ. ხეთისიაშვილი), ა. რიუნოსკის „მაგის საოცრებანი“, ერიკ ემანუელ შმიტის „სასტუმრო ორი სამყაროს გასაყარზე“ (რეჟ. გ. თავაძე).

2013 წლის ბოლოს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად რეჟისორი ირაკლი გოგია დაინიშნა. მან სრულიად განსხვავებული სტილით გააგრძელა თეატრის მხატვრული სახის ჩამოყალიბება. ყურადღება გამახვილდა კოპროდუქციის მიმართულებით განვითარებაზე. მოწვეულმა რეჟისორებმა განახორციელეს: ს. მროვეკის „პოლიცია“ (რეჟ. დ. ეზერსკი, პოლონეთი), „ჰამლეტიკა“ (რეჟ. მ. ნარდი, იტალია), რ. ფიშერი „2+2=2“ (რეჟ. რ. ფიშერი, ბრაზილია), აგრეთვე, რ. კლდიაშვილის „იმერული რეკვიემი“, შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“, ვაჟა-ფშაველას „სტუმარ- მასპინძელი“ (რეჟ. ირ. გოგია), კ. ჩაპეკის „დედა“ (რეჟ. გ. სავანელი), გ. ჩოხელის „ბედისწერის თეატრი“, გ. ბათიაშვილის „დაბრუნებამდე“ (რეჟ. ირ. გოგია, ლ. გოგნიაშვილი), ნ. დუმბაძის „ღმერთო, რისთვის?“ (რეჟ. ნ. გაჩავა) და სხვა. ი. გოგია ორიენტირებულია თამაში ექსპერიმენტებისკენ, ინოვაციური პროექტებისკენ, მსოფლიო თეატრებში მიმდინარე შემოქმედებითი მეთოდოლოგიების გამოყენებით ცდილობს გაამდიდროს თეატრის

მხატვრული სახე, რაც მსახიობებს საშუალებას მისცემს სხვადასხვა მიმართულების რეჟისორებთან მუშაობით დახვეწონ თავიანთი შესაძლებლობები.

თეატრში მოღვაწეობდნენ მსახიობები: ნ. ყურაშვილი, ა. ალავეძე, ნ. ხიდურელი, გ. ჯაფარიძე, ზ. ქაშიბაძე, აკ. ხიდაშელი, გ. გორგასანიძე, ვ. ადგიშვილი, კ. გოგიძე, ვ. ტეტილაშვილი, ვ. ტორონჯაძე, მ. მაზავრიშვილი, შ. ბახტაძე, ვ. ციცილოშვილი და სხვა; ქალთაგან: მ. ზედგენიძე, ნ. ბადალაშვილი, მ. ტალიაშვილი, მ. ხარჩილავა, გ. მახათაძე, ი. ნიუარაძე, თ. ბეჟუაშვილი, რ. კობიაშვილი, რ. ლორია და სხვა. თეატრის დასს სხვადასხვა დროს ღირსებასა და ძალას მატებდა შ. ხაჯალიას, ა. ტაკიძის, მ. სეთურიძის ტალანტური შესრულება და სცენის გამოცდილი ოსტატების დ. დვალიშვილისა და ვ. პაქსაშვილის კოლორიტული სახეები.

1990 წელს თეატრმა წარმატებული საგასტროლო მოგზაურობა გამართა იუგოსლავიაში, ქ. ზაგრებში, ხოლო 1995 წ. ეგვიპტეში თეატრების საერთაშორისო ფესტივალის მონაწილე იყო, სადაც ო. ჭილაძის „ლაბირინთმა“ (რეჟ. ა. ქანთარია) საუკეთესო დადგმისთვის პრიზი დაიმსახურა.

1987 წელს თეატრს ალექსანდრე ახმეტელის სახელი მიენიჭა. 2017 წ. 14 იანვარს თეატრის წინ გაიხსნა წამყვანი და პოპულარული მსახიობების ნუგზარ ყურაშვილისა და გია ჯაფარიძის ვარსკვლავები.

### ახმეტელის თეატრის არქივი

#### ადმინისტრაციული დოკუმენტაცია

1. თბილისის დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორის ლერი პაქსაშვილის ბრძანება სპექტაკლ „აპრაკუნე ჭიმჭიმელის“ წარმოებაში ჩაშვებასთან დაკავშირებით,

1980 წ. 2 სექტემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ასლი. 1 გვ.

2. ახმეტელის თეატრის დირექტორის იური კაკულიას მიმართვა საქ. კულტურის პირველი მოადგილის ი. გამრეკელისადმი, მსახიობებისთვის სახელფასო კატეგორიების მომატებასთან დაკავშირებით.

1988 წ. 9 ივნისი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 გვ.

#### ჩანაწერები

3. თბილისის დრამატული თეატრის სპექტაკლის „გამოქვაბულის“ სარეპეტიციო ჩანაწერები.

1980 წ. თბილისი. ხელნაწერი. მეღანი. 112 გვ.

4. თბილისის დრამატული თეატრის სპექტაკლის „აპრაკუნე ჭიმჭიმელის“ სარეპეტიციო ჩანაწერები.

1980 წ. თბილისი. ხელნაწერი. მელანი. 121 გვ.

5. თბილისის დრამატული თეატრის სპექტაკლის „ოპტიმისტური ტრაგედის“ სარეპეტიციო ჩანაწერები.

1981 წ. თბილისი. ხელნაწერი. მელანი. 139 გვ.

#### რეპერტუარი

6. თბილისის დრამატული თეატრის რეპერტუარი სპექტაკლებისა და მაყურებელთა რაოდენობის ჩვენებით.

1981 წ. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

7. თბილისის დრამატული თეატრის რეპერტუარი სპექტაკლებისა და მაყურებელთა რაოდენობის ჩვენებით.

1982 წ. I ნახევარი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

8. თბილისის დრამატული თეატრის რეპერტუარი სპექტაკლებისა და მაყურებელთა რაოდენობის ჩვენებით.

1982 წ. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

9. თბილისის დრამატული თეატრის რეპერტუარი სპექტაკლებისა და მაყურებელთა რაოდენობის ჩვენებით.

1983 წ. I ნახევარი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

10. თბილისის დრამატული თეატრის რეპერტუარი სპექტაკლებისა და მაყურებელთა რაოდენობის ჩვენებით.

1983 წ. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

11. თბილისის დრამატული თეატრის რეპერტუარი სპექტაკლებისა და მაყურებელთა რაოდენობის ჩვენებით.

1984 წ. I ნახევარი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

#### ბუკლეტი

12. თბილისის დრამატული თეატრის გახსნის მისალოცი ბუკლეტი.

1981 წ. სტამბური. 1 ც.

#### პროგრამები

13. თბილისის დრამატული თეატრის სპექტაკლის „ოპტიმისტური ტრაგედიის“ პროგრამა.  
1980-81 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური 1 ც.
14. თბილისის დრამატული თეატრის სპექტაკლის „მთანი მაღალნის“ პროგრამა.  
1980-81 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 1 ც.
15. თბილისის დრამატული თეატრის სპექტაკლის „ყრუ ღმერთების“ პროგრამა.  
1980-81 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 1 ც.
16. თბილისის დრამატული თეატრის სპექტაკლის „აპრაკუნე ჭიმჭიმელის“ პროგრამა.  
1981-82 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 1 ც.
17. თბილისის დრამატული თეატრის სპექტაკლის „მოტყუებულნის“ პროგრამა.  
1981-82 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 1 ც.
18. თბილისის დრამატული თეატრის სპექტაკლის „ბიჭუნას“ პროგრამა.  
1982-83 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 2 ც.
19. თბილისის დრამატული თეატრის სპექტაკლის „გამოქვაბულის“ პროგრამა.  
1982-83 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 1 ც.
20. თბილისის დრამატული თეატრის სპექტაკლის „ყრუ ღმერთების“ პროგრამა.  
1982-83 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 1 ც.
21. თბილისის დრამატული თეატრის სპექტაკლის „კომბლეს“ პროგრამა.  
1982-83 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 1 ც.
22. თბილისის დრამატული თეატრის სპექტაკლის „ოპტიმისტური ტრაგედიის“ პროგრამა.  
1983-84 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 1 ც.
23. თბილისის დრამატული თეატრის სპექტაკლის „მტანი მაღალნის“ პროგრამა.  
1983-84 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 1 ც.
24. თბილისის დრამატული თეატრის სპექტაკლის „კომბლეს“ პროგრამა.  
1983-84 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 1 ც.
25. თბილისის დრამატული თეატრის სპექტაკლის „1832 წელი“ პროგრამა.

- 1983-84 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 2 ც.
26. თბილისის დრამატული თეატრის სპექტაკლის „ძველმოდური კომედიის“ პროგრამა.  
1983-84 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 2 ც.
27. თბილისის დრამატული თეატრის სპექტაკლის „საბრალდებო დასკვნის“ პროგრამა.  
1983-84 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 2 ც.
28. თბილისის დრამატული თეატრის სპექტაკლის „იეთიმ გურჯის“ პროგრამა.  
1983-84 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 2 ც.
29. თბილისის დრამატული თეატრის სპექტაკლის „ძალად ექიმის“ პროგრამა.  
1983-84 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 1 ც.
30. თბილისის დრამატული თეატრის სპექტაკლის „ჭინჭრაქას“ პროგრამა.  
1984-85 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 2 ც.
31. თბილისის დრამატული თეატრის სპექტაკლის „იეთიმ გურჯის“ პროგრამა.  
1984-85 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 2 ც.
32. თბილისის დრამატული თეატრის სპექტაკლის „ტოტების ოჯახის“ პროგრამა.  
1984-85 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 3 ც.
33. თბილისის დრამატული თეატრის სპექტაკლის „რომაელების“ პროგრამა.  
1984-85 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 4 ც.
34. თბილისის დრამატული თეატრის სპექტაკლის „უკანასკნელი პატრიარქის“ პროგრამა.  
1985-86 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 2 ც.
35. თბილისის დრამატული თეატრის სპექტაკლის „აჩრდილების“ პროგრამა.  
1985-86 წწ. სეზონი. თბილისი. ნაბეჭდი. 2 ც.
36. ახმეტელის თეატრის სპექტაკლის „ღუზა ჩაუშვი ანგელოზო“ პროგრამა.  
1986-87 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 3 ც.
37. ახმეტელის თეატრის სპექტაკლის „აჩრდილების“ პროგრამა.  
1986-87 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 3 ც.
38. ახმეტელის თეატრის სპექტაკლის „ბაზალეთისა ტბის ძირას“ პროგრამა.

1986-87 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 3 ც.

39. ახმეტელის თეატრის სპექტაკლის „კომბლეს“ პროგრამა.

1986-87 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 3 ც.

40. ახმეტელის თეატრის სპექტაკლის „ჭინჭრაქას“ პროგრამა.

1986-87 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 3 ც.

41. ახმეტელის თეატრის სპექტაკლის „ბიჭუნა და სახურავზე ბინადარი კარლსონის“ პროგრამა.

1987-88 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 2 ც.

42. ახმეტელის თეატრის სპექტაკლის „ღია შუშაბანდის“ პროგრამა.

1987-88 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 2 ც.

43. ახმეტელის თეატრის სპექტაკლის „ნუ გეშინია დედას“ პროგრამა.

1987-88 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 2 ც.

44. ახმეტელის თეატრის სპექტაკლის „დედილო კურაჯი და მისი შვილების“ პროგრამა.

1987-88 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 3 ც.

45. ახმეტელის თეატრის სპექტაკლის „სადაო მფლობელობას“ პროგრამა.

1988-89 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 2 ც.

46. ახმეტელის თეატრის სპექტაკლის „ფარდის დაშვებამდე“ პროგრამა.

1988-89 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 2 ც.

47. ახმეტელის თეატრის სპექტაკლის „შუადამისას“ პროგრამა.

1988-89 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 2 ც.

48. ახმეტელის თეატრის სპექტაკლის „სიმარტოვეს“ პროგრამა.

1989-90 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 2 ც.

49. ახმეტელის თეატრის სპექტაკლის „კარს იქით“ პროგრამა.

1989-90 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 2 ც.

50. ახმეტელის თეატრის სპექტაკლის „ტაძარის“ პროგრამა.

1989-90 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 2 ც.

51. ახმეტელის თეატრის სპექტაკლის „საბავშვო საშობაო-საახალწლო თეატრალიზირებული წარმოდგენის“ პროგრამა.

1989-90 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 1 ც.

52. ახმეტელის თეატრის სპექტაკლის „ახალი წელი, ყარაბასი, ბურატინო, კარლსონი და სხვები“ პროგრამა.

1990-91 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 1 ც.

53. ახმეტელის თეატრის სპექტაკლის „დემეტრე მეორეს“ პროგრამა.

1991-92 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 3 ც.

54. ახმეტელის თეატრის სპექტაკლის „მინდა ვიცოცხლო, მინდა მიყვარდეს“ პროგრამა.

1991-92 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 2 ც.

55. ახმეტელის თეატრის სპექტაკლის „ქვრივთა ნუგეშისმცემელის“ პროგრამა.

1992-93 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 1 ც.

56. ახმეტელის თეატრის სპექტაკლის „ლაბირინთის“ პროგრამა.

1992-93 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 1 ც.

57. ახმეტელის თეატრის სპექტაკლის „წრეს“ პროგრამა.

1992-93 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 2 ც.

58. ახმეტელის თეატრის სპექტაკლის „ადღომა გაუქმებულ სასაფლაოზე“ პროგრამა.

1993-94 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 2 ც.

59. ახმეტელის თეატრის სპექტაკლის „ხედი ხიდიდან“ პროგრამა.

1994-95 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 1 ც.

60. ახმეტელის თეატრის სპექტაკლის „შავი კატას“ პროგრამა.

1994-95 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 2 ც.

61. ახმეტელის თეატრის თეატრის სპექტაკლის „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლების“ პროგრამა.

1998-99 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 1 ც.

62. ახმეტელის თეატრის სპექტაკლის „ლალატის“ პროგრამა.

1999-2000 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 1 ც.

63. ახმეტელის თეატრის სპექტაკლის „ზამთრის ღამის ზღაპარის“ პროგრამა.  
2002-2003 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 2 ც.
64. ახმეტელის თეატრის სპექტაკლის „თეთრი საყელოს“ პროგრამა.  
2007-2008 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 1 ც.
65. ახმეტელის თეატრის სპექტაკლის „ნათელი ბნელში“ პროგრამა.  
2007-2008 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 1 ც.
66. ახმეტელის თეატრის სპექტაკლის „პოლიცია“ პროგრამა.  
2013-2014 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 1 ც.
67. ახმეტელის თეატრის სპექტაკლის „მოძღვრის აღსარების“ პროგრამა.  
2014-2015 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 1 ც.
68. ახმეტელის თეატრის სპექტაკლის „იმერული ესკიზების“ პროგრამა.  
2014-2015 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 1 ც.
69. ახმეტელის თეატრის სპექტაკლის „დედას“ პროგრამა.  
2014-2015 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 1 ც.
70. ახმეტელის თეატრის სპექტაკლის „ღმერთო, რისთვის?“ პროგრამა.  
2014-2015 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 1 ც.
71. ახმეტელის თეატრის სპექტაკლის „2+2“ პროგრამა.  
2015-2016 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 1 ც.
72. ახმეტელის თეატრის სპექტაკლის „ბედისწერის თეატრის“ პროგრამა.  
2015-2016 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 1 ც.
73. ახმეტელის თეატრის სპექტაკლის „სტუმარ-მასპინძელის“ პროგრამა.  
2015-2016 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 1 ც.
74. ახმეტელის თეატრის სპექტაკლის „დონ-კიხოტ ღამანჩელის“ პროგრამა.  
2016-2017 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 1 ც.
75. ახმეტელის თეატრის სპექტაკლის „პინოქიოს თავგადასავალის“ პროგრამა.  
2016-2017 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 1 ც.

76. ასმეტელის თეატრის სპექტაკლის „დაბრუნებამდე“ პროგრამა.

2016-2017 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 1 ც.

77. ასმეტელის თეატრის სპექტაკლის „ჩარლის დეიდას“ პროგრამა.

2016-2017 წწ. სეზონი. თბილისი. სტამბური. 1 ც.

არქივი დაამუშავა გუბაზ მეგრელიძემ